# ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის სერვისების შესახებ

## ინფორმირებულობა და ხელმისაწვდომობა [1]

### მოკლე შეჯამება

ქალთა ფონდი „სოხუმის“ მიერ 2024 წლის მარტი-მაისის პერიოდში „ქალთა მიმართ ძალადობის რისკების ინდიკატორის“ შესწავლის მიზნით განხორციელებული კვლევის ფარგლებში **10 სამიზნე მუნიციპალიტეტში - ზუგდიდი, წალენჯიხა, სენაკი, წყალტუბო, ხონი, ქუთაისი, ბაღდათი, ჩოხატაური სამტრედია, ქობულეთი - რაოდენობრივი კვლევის მეთოდით გამოიკითხა 1027 რესპონდენტი (ქალი).**

**ძალადობის ფაქტების, ძალადობის რისკების იდენტიფიცირებისა და მათი რაოდენობის და გავლენის შემცირებისათვის** მნიშვნელოვანი როლი აქვს **ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის სერვისების გამოყენებას.** ამისათვის აღნიშნული სერვისები უნდა იყოს ადვილად ხელმისაწვდომი და მოსახლეობა მათ შესახებ - ფართოდ ინფორმირებული. **კვლევამ აჩვენა, რომ ამ ორი მიმართულებით არსებობს ხარვეზები, რაც მოითხოვს არსებული მხარდაჭერის სერვისების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობისა და ცნობიერების ამაღლებას და მომსახურებებზე ხელმისაწვდომობის (მათ შორის - გეოგრაფიული) გაზრდას.**

### დიაგრამა №1




### დიაგრამა №2




### დიაგრამა №3




[1] https://sosfsokhumi.ge/map

## მიგნებები

- ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის სერვისების შესახებ **არაინფორმირებულ/ნაკლებად ინფორმირებულ ქალთა მაჩვენებელი თითქმის იდენტურია 2023** (დაახლ. 38%); **და 2024 წლებში** (დაახლ. 39%); რესპონდენტთა უმრავლესობა (2024 წ. 43%) იცნობს მხოლოდ რამდენიმე სერვისს;
- ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის სერვისებიდან ქალები **ყველაზე კარგად იცნობენ** ცალსახად **ორ სერვისს:** სახელმწიფო თავშესაფრები (შემთხვევათა 46.3%) და სახელმწიფო იურიდიული სამსახურები (შემთხვევათა 37.1%). მესამე ადგილზე დასახელდა არასამთავრობო ორგანიზაციები და ცხელი ხაზი (116 006) (შემთხვევათა დაახლ 30%);
- **2023 წლის ტენდენცია არ შეცვლილა** ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის სერვისების შესახებ **ინფორმირების წყაროს განსაზღვრისას** არც 2024 წელს: მხარდაჭერის სერვისების შესახებ ინფორმაციის გავრცელების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია არასამთავრობო ორგანიზაციების როლი (შემთხ. 63.3% (2023); შემთხ. 59% (2024)) და სოციალური ქსელები (შემთხ. 57.5% (2023); შემთხ. 48.1% (2024)); ინფორმაციას არსებული მომსახურებების შესახებ ქალები ყველაზე ნაკლებად ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრებისას იღებენ (შემთხ. 11,7%, 2024 წ.);
- **2023 წ. რესპონდენტი ქალების ნახევარზე მეტი (55%) მიუთითებდა ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის სერვისების ნაკლებად ან სრულად არახელმისაწვდომობას**; 2024 წ. **ოდნავ შემცირდა მათი რაოდენობა და შეადგენს 46.1%-ს;**
- სერვისებისადმი ხელმისაწვდომობის შემაფერხებელ მიზეზებს შორის 2024 წელს ცალსახად გამოიკვეთა სამი: შეზღუდული და არაადეკვატური სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა (26.4%), ხელმისაწვდომი სერვისების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა და არაკვალიფიციური/უხარისხო მომსახურება (დაახლ. 25%%).

### დიაგრამა №4




### დიაგრამა №5



## რეკომენდაციები

### საინფორმაციო კამპანიები არსებული სერვისების შესახებ

- ძალადობის მსხვერპლთა დახმარების შესახებ მოსახლეობის მეტი ინტენსივობით ინფორმირება

  (მაგ: შეხვედრები, ინდივიდუალური საუბრები, საინფორმაციო კამპანიის წარმოება სოციალური ქსელებით, ფლაერების/ბუკლეტების საშუალებით და ა.შ.);
- ინფორმაციის სხვადასხვა გზით გავრცელების შედეგად, ბენეფიციარების დაფარვის არეალის გაფართოება - მეტი ბენეფიციარის მოზიდვა;
- ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე პასუხისმგებელი რეფერირების სუბიექტების, მათ შორის ექიმების, პედაგოგების, პოლიციის, სოციალური მუშაკების მეტი ინფორმირება ოჯახში/ქალთა მიმართ ძალადობის არსებულ სერვისებზე (მუნიციპალური, არასამთავრობო სერვისები) და მათი დახმარებით ინფორმაციის ფართოდ გავრცელება მოსახლეობაში.

### სერვისების ხარისხის გაზრდა

- არსებული ბენეფიციარების საჭიროებათა კვლევის განხორციელება. უკუკავშირის მიღების შემდეგ, პროგრამების და დახმარებების ძალადობაგამოვლილი ქალების საჭიროებებზე მაქსიმალურად მორგება;
- არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული ძალადობის მსხვერპლთა დახმარების შესახებ მეტი ინფორმაციის მიწოდება მოსახლეობისთვის, განსაკუთრებით მოწყვლადი ოჯახების წარმომადგენლებისთვის;
- არსებული პროგრამების/დახმარებების მონიტორინგის და შეფასების უზრუნველყოფა, მათ შორის ბენეფიციარების კმაყოფილების დონის გაზომვა და მხარდაჭერის სერვისების შესაბამისად გაუმჯობესება.

### სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდა

- ძალადობის მსხვერპლთა დახმარების პროგრამების ხელმისაწვდომობის გაზრდა (როგორც ფინანსური, ასევე გეოგრაფიული თვალსაზრისით);
- მოწყვლადი კატეგორიის ქალებისა და მათი შვილებისათვის ისეთი სქემის შემუშავება, რომელიც მხარდაჭერის სერვისების მისაღებად მობილობის შეზღუდვის პრობლემას გადაჭრის.